



საქართველოს ჟურნალი

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი

# პ რ ა ვ დ ა

თბილისში „პრავდას“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებულოვის სახლში  
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ  
КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება  
სხვა და სხვა ენებზე. შპის განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-  
ბრძანების ახლებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

მაგზავნიტ ტფილისში  
და გარეშე ადგილებში:  
ქრთის წილისა — 7 მან. — — — 6 მან,  
სახეგარის წილისა — 4 — — — 3 — 50 კ.  
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —  
ცალკე ერთის ნუმრისა გაუზავნელათ — 3 შაური.  
„პრავდა“ გამოდის ყოველსა ერთხელ, ხუთშაბათობით.

## ს ა კ რ ი ტ ი კ რ დ ა ს ა ლ ი ტ მ რ ა ტ უ რ რ გ ა ზ ე თ ი .

### შ ი ნ ა რ ს ი :

— თბილისი 20 თებერვალს. — ნათელულ-ში ქალების შკოლის გაღებაზე. — შვილ მიუ-რატის მოსვლა. — „პრავდას“ კორესპონდენ-ცია. — პოლიტიკა: — მსაფლეთი. — საბერძნეთი. — შანსია. — ისპანია. — პარტუგალია. — შეერთებული შტატები. — ტელეგრაფები. — მრჩოდე სიტყვა № 3 კორესპონდენციის წინააღმდეგ.

### შ ი ნ ა რ ს ი .

წარსულ №-ში, პირველ გვერდზე დაბე-ჭდილი „წილისა“, უნდა იყოს „6 წილისა“

თბილისი, 20 თებერვალს.

(მაგზავლება).

ამას დაუმატებთ ერთს შემთხვევას, ესთ-ქვით საზოგადოებამ დააწესა, რომ ყველა დედ-მამა შოვალეა შეილები გზავნონ შკო-ლებში. მინ ასწავლის ამ ჭამათ სასწავლებლ-ებში? ან მღვდელი, ან იმისი პრიჩეტნიკი, ან არა და კურს დაუსრულებელი სემინარიელი. ჩვენ კარგათ ვიცით, როგორ უსწავლებიათ ამ პი-რებისთვის წერა-კითხვა. რასაკვირველია, ისი-ნი ამ საქმეში მოიხმარებენ იმ მეთოდებს (სწავლის რიგს), რა მეთოდებითაც იმათთვის უსწავლებიათ წერა-კითხვა. აქედამ გამოვა, რომ ჯოხსა და მათრახს ექნებათ დიდი გამ-ნათლებელი მნიშვნელობა ყმაწვილის სწავ-ლაში და საექვო არ ირის, რომ ამისთანა მეთოდით სწავლას ცუდი ბოლოც ექნება. აქედამ გამოვა, რომ გლენ-კაცის სახლს მოავაზრებთ ძალათ სწავლისთვის, შეილებს რომელნიც სახლობაში იმას ძალიან ეწვოდ-ნენ და ძლიერ-ძლიერ წერა-კითხვას ვასწავლით. მსეც ხომ დასამალი არ არის, რომ ამ ჭამათ საზოგადოებამ იმდენი შეძლება არა აქვს, რომ რიგინი ჯამგირი მისცეს და რიგინი ოსტა-ტები მიიწვიოს თავიანთს შკოლერისთვის. მა-შასადამე, მღვდლებს, პრიჩეტნიკებს და კურს დაუსრულებელს სემინარიელებს არ ასცილ-დებათ ჩვენი ხალხის განათლება.

რომ საქართველოშიაც გერმანიის კანონი უნდა დავაწესოთ სასწავლებლებისთვის. ჩვენ სიტყვითაც და სტამბითაც გამოავაცხადებთ ჩვენს უთანხმოებას ამ აზრზე. როგორც მკი-თხელებმა ზევითა ნახეს, ჩვენ მაშინ დავე-თან-ხმებით ძალდატანებით სწავლასა, როდეს-საც შეგვეძლება, სახალხო შკოლები ისე და-ვაწესოთ, რომ იქ ყმაწვილს შეეძლოს, წერა-კითხვის გარდა, სხვა ცხოვრებაში გამოსაყე-ნებული და სასარგებლო სწავლაც მი-იღოს, ან იმ სასწავლებლებს შეეძლოთ იმოდენათ გონების გახსნა, რომ სწავლის სიყვარული ჩაენერგოს ყმაწვილს, ყმაწვილმა შეიტყოს იმისი სასარგებლო მნიშვნელობა და დარწმუნდეს, რომ სწავლას მართლა დი-დი გაეღენა აქვს ადამიანის ცხოვრებაში და დიდი სარგებლობაც მოაქვს ადამიანისთვის. აბა ახლა ვკითხვთ ყველა საქართველოში მცხოვრებლებს: შეგვიძლიან ამის მეთადის ასრულება, თუ არა? მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი განათლება უმეტეს ნაწილათ გიმ-ნაზიანზე წინ არ მიდის. . . შევლას ხომ არ შეუძლიან უნივერსიტეტებში წავიდეს. იქ წე-სელას დიდი შეძლება უნდა, დიდი მომზა-დებაც და სხვა რიგი დიდი ვაი ვგლახიც რომელსაც, ამ დროს, მარტო გიმნაზიის სწა-ვლაც ვერ მოაშორებს.

აი, ჩვენი აზრი ამ ახალ საქმეზე. იქნება შკოლების დამფუძნებლებს სრულებით აზრ-ში არა ჰქონდეთ გერმანიის წესის შემოტანა. აქ ისიც არ უნდა დავიფიქროთ, რომ გერ-მანიაში სასოფლო შკოლა ისეა დამყარებუ-ლი, რომ მართლაც თვითთავი გრძობს იმის საჭიროებას: ყველა შკოლაში ასწავლი-ან ახალის მეთოდით, გონებას უხსნიან, ხე-ლოვნობაზე ისეთი ყურადღება მიქცეული, რომ შკოლას უამისოთ მნიშვნელობა არა აქვს რა. ამისთვისაც ყველა გერმანიელი ისეა

აზრდილი, ხელობა რამ იცის, ხელოვნობაში დახელოვნებულია. . . ჩვენ ძალიან გვეშინიან, რომ იმისთანა პირები არ გამოვიდნენ, რომ-ლებმაც ამისი რჩევა დაუწყონ ხალხს და ამი-თი საუკუნოთ ეს ახალი საქმე არ წაახდი-ნონ.

ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია, გვეკით-ხავს ჩვენ რა მეთოდს ურჩევთ ამ ახალ სა-ქმეში ჩვენს ხალხსა. რადგანაც ჩვენი მდგო-მარეობა იმას გვიჩვენებს, რომ უნდა სხვა გა-ნათლებულ ტომთაგან ავიღოთ მაგალითი, ყოველს სასარგებლო საქმეში, ამისთვის ჩვენც ურჩევთ ზოგიხმაროთ ამ საქმეში ის წესი, რა წესიც არის მიღებული ამერიკაში. იქ, თუმცა ხალხისთვის არის გამართული მრავა-ლი სხვა და სხვა რიგი სასწავლებლები, სა-დაც ყოველ მოსურნეს შეუძლიან მიიღოს იმ გვარი სწავლა, რა სწავლაცა სურს, და შეუძლიან სხვა ნაირთაც გაიხსნას გონება, მაგრამ იქ არ არის მიღებული ის კანონი, რომ ძალდატანებით ასწავლონ მოწაფეებს. იქ ძალას არავის არ ატანენ სწავლისთვის და ვისაც, როგორც უნდა, შეუძლიან ისე მოი-ქცეს ამ საქმეში. ზარდა ამისა ამერიკაში ყვე-ლას, უნდა ითუ არა, ართმევენ ფულს შკო-ლებისთვის. იქ ყველა ამერიკელი საშუალო გამოყვანით, ამ საგანზე აძლევს 1 მ. 50 კ. და ამ ქვეყანაში ძვირათ რჩება უსწავლელი კაცი.

ჩვენი აზრი და რჩევა ის არის, რომ ჩვენ-მა ხალხმაც ნილოს ამისთანა აზრი ამ საქმე-ში. ზევითა ცთქვით, რომ შკოლების რიგი-ანათ დაფუძნება დამოკიდებულია შეძლებაზე. თუ შკოლებს საიმედო და სამუდამო შემო-სავალი არ ქნება, დიდხანს სიცოცხლე არ შეეძლება, და საუბედუროთ, იმ ნაირი სი-ცოცხლე ექნებათ, რაც სიცოცხლე ჰქონდათ სახალხო შკოლებს რუსეთში და თბილისში.

მთხვევა, როცა ხილს აშენებდა? და ან შეეძლო თუ არა იმას მგვარის შემთხვევისათვის წი-ნეთ გაფრთხილება?

ამ კითხვებს ძალიან ნათლად უგებენ პა-სუსხსა ცხადნი და მუთათისის მცხოვრებთაგან უწყებულნი დატყობებებანი, ესე იგი, ხილის აღმშენებელმა სხვა და სხვა პირთაგან შე-წირული ფული ამ საქმისათვის მიიღო სრუ-ლებით სამი ათის მანეთი. როდესაც მიიღო თავის თავზედ ხილის აგება, მან აღუთქვა ხი-ლის გაკეთება იმ ფულით, არამც თუ ქვეითად მოსიარულეთათვის, როგორც მას სთხოვე-დნ, არამედ იმისთანა სიმაგრისა, რომელზე-დაც ევლოთ მსუბუქ ეკიპაჟთაც, — მაშასადა-მე, რომ იმ ხილზედ ყოველ რიგათ დატვირ-თული ურუმების ტარება სრულებით ფიქრა-თაც არა ვისა ჰქონია. მორმეტ ნახევრის სა-ქენს სიგრცხვედ, რომელიც აქვს ხილის სიგა-ნეს, შეუძლებელი იყო იმ ფულით გაკეთება სხვა ნაირის მოწყობილების, ანუ სისტემის ხილისა, — თეინიერ ჯაჭვი ხილისა და ამ გვა-რის ხილისათვისაც, რაც უნდა მცირე მასალა მონდომებოდა, ის ფული საკმარ არ იყო.

მგონებ არავის საქმე არ უნდა ჰქონდეს იმაში, გამოიკლიოს თუ ნამდვილათ რამდენი დიხარჯა იმ ხილზედ, მაგრამ, რომ ის ზემოთ აღრიცხული ფული იყო მოხმარებუ-

საუბედუროთ ვხედავთ, რომ მართლშიაც სა-ბუთიანათ არ არის შკოლების საქმე დაქე-რილი. მოვაგონებთ მკითხველს „პრავდას“ № 34 №-ში 1867 წლისას, სადაც იყო მოხსე-ნებული, კორესპონდენციაში ზოროდამ, რომ შკოლების დაფუძნება დამოკიდე-ბულიაო უ. იოსებ მამაცაშვილზედაო. ის რომ არ იყოსო, შკოლები ვერ დაფუძნდე-ბოდაო. რასაკვირველია დიდი მადლობა უნ-და მივიძღოდეს იმ კერძო პირთან, რომე-ლიც ამ კეთილშობილ საქმეს შეუდგა, ხალ-ხი სასარგებლო გზაზე დააყენა, მაგრამ შეუ-ძლიან ამ გვართ დაწყებულმა საქმემ გასწი-ოს? რა არის ეს ფაქტი, — მთელი ამისთანა სა-ქმე ერთ პირზეა დამოკიდებული; ამისი გვემი-ნოდა და ამისი საშიში აზრები წარმოესტქ-ვით, მაგრამ ამისთანა ფაქტი ჩვენ არ აგვიცოლ-და. ძილვე გავეიმეორობთ, რომ შკოლების გა-ძრილება დამოკიდებულია შემოსავალზე. ამიტომაც ყოველი ღონისძიება უნდა მოვი-ხმაროთ, რომ ამ შემოსავალს ჰქონდეს მკეი-დრი და საბუთიანი საძირკველი. ჩვენ იმედი არა გვაქვს საზოგადოების შეწყვეტისა; ეს სა-შუალობა ძალიან უსაბუთოა და არცარა გა-მოვა. აგრეთვე იმედი არა გვაქვს, რომ თი-თონ გლენებმა მოინდომონ, ძალდაუტანე-ბლათ, ყოველ წელიწადს აძლიონ შკოლების-თვის ფული. ამისთვის უნდა მოვიხმაროთ ამ შემთხვევაში ამერიკული კანონი — ფული ერ-თმეოდეს ყოველ გლენს, თავის სოფლის შკოლისთვის. ეს ფაქტი, სხვათა შორის, იმი-სთვისაც გამოადგება, რომ ყველა გლენი უთუოთ გაგზავნის შკოლაში თავისს შეი-ლებს, იმ აზრით მანც, რომ ფულები არ დამეკარგოსო, როგორც ეს მოხდა ამერიკა-ში: პირველად რასაკვირველია, მომატებული გლენი კმაყოფილი არ იქნება, მას უკან ცოტ ცოტათი შეჩვენევიან. ჩვენ საზოგადოებამაც

ლი ხილის გაკეთებზედ კეთილ სინილისიანათ, ეს ცხადათ სჩანს იქიდან, რომ ერთი მხო-ლოდ რკინეულობა, რომელიც იმას მოხმა-რდა, გარდა ქვისა და ხის სამუშაოთა, დაჯდა უმეტეს სამი ათასის მანეთისა. —

რომ ხილზედ ევლოთ მძიმეთ დატვირთულთ ურუმებთა, მაშინ საჭირო იქმნებოდა ერთი ორათ მეტი რკინა და ვერეთვე დანარჩენი სა-მუშაოც ამის გამო წარმოებით მეტი უნდა ყოფილიყო.

და ამ გვართ ხილის ჯაჭვები იყენენ გავე-თებულნი ესრეთის სისქისა, რომ შესძლებო-დათ დაკავება უშიშრათ ხილის სიმძიმისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ნიადგი მისი ტვი-რით და ამას გარდა მცირედი დროებითის ტვირთისა, ესე იგი ქვეითად იმაზედ მოსიარულეთა და მსუბუქი ეკიპაჟებისა.

რადგანაც ხილის აღმშენებელს ჰქონდა მხე-დელობაში იმის შენობის დროს ის წესი, რომელიც არსებობს ჩვენში — რუსეთში, ესე იგი, რომ ყოველი ქალაქის ხილი აზარია სა-კუთრათ მცველთა და არის მხედველობასა ქვეშე იმისთანა პირისა, რომელმაც იცის ტე-ხნიკური ნაწილი და მასთანავე ყოველი ზო-მა, რომელიც უნდა მოიხმარონ სხვა-და-სხვა შემთხვევაში უშიშრობისათვის ხილისა, მაშ არას გზით გაკეთებელს არ შეეძლო წინეთ

ორიოდე სიტყვა კორესპონდენ-ციის წინააღმდეგ, რომელიც იყო დაბეჭდილი „პრავდას“ №-ში მუ-თათისის ჯაჭვის ხილის ჩაქცევაზე.

მესამე ნომერში ქართულის გაზეთის „პრავ-დასა“ დაბეჭდილია სტატია, შესახებ ჯაჭვის ხილის ჩატეხისა ქალაქს მუთათისის მ-ს იანვარს, სიმძიმისაგან მძიმეთ დატვირთულთა ფურგონ-თა, უეცრად შესრულთა იმ ხილზედ. მწერალსა იმა სტატიისასა, რომელიც არ აცხადებს თავის სახელსა და გვარსა, აღუწერია რა ის შემთხვევა, თუმცადა საკმარ სწორეთ, გარნა ამასთანავე ნება მიუტია თავის თავისათვის ხილის აღმშენებელზედ ეჭვი შეეტანა.

რომ კარგათ აღიწინას, თუ რამდენი სიმა-რთლეთა ამისთანა ეჭვი, საჭიროა განვიხი-ლოთ მომხდარი შემთხვევა იმა დატყობებთა მებრ, რომელნიც უწყიან, როგორც მთელმა მუთათისმა, აგრეთვე იმ მართებლობის პირე-ბმა, რომელთაც მიიღეს მცირედი მონაწილე-ობა ნაწილი იმ ხილის გაკეთების საქმეში: —

ხილი ჩაიქცა მასზედ გატარებულ უზომო ტვირთისაგან. იმ დროს ხილზედ იდგა კარგა ძალი თოვლი, რადგან იმის წინეთ ორრ დღე და ღამე სულ თოვლდა და არ იყო იმ დროს ხილიდან თოვლი გადახეტილი; ამასთანავე



რომ მივიღოთ მონაწილეობა ამ საქმეში, ეჭვი არ არის უფრო გააზრდებულ გლეხებს: ვაძლიოთ უფასოთ საკითხები წინგები ღონის ძიება მივცეთ, რომ აქა-იქ, მომატებულია დასახლებულს ადგილს შკოლები ისე დაწესდეს, რომ ხელოსანობის სწავლაც შეიძლება; ეს საგანი ისეთი ღირს-შესანიშნავია, რომ ამასვე ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ.

ახლა უნდა ვიპოვოთ იმისთანა გზა, რომ ყველა გლეხმა უთუოთ აძლიოს შკოლებისთვის ფული. ამ ქამათ, ჯერ ჩვენ სხვა ღონის ძიებას ვერაფერს ვიპოვებთ, იმის გარდა, რომ გლეხებს ეს ფულის გამოართმევა დაეწეროს. ძალიან კარგი და კაცობრიული საქმე იქნება, რომ ვის ხელშია ცი არის შკოლების საქმე, ვინცა თაობს ამ საქმეს და მთავრობისაგან აქვს მინდობილი შკოლების დაფუძნება, მოსთხოვოს მთავრობას ნება, რომ ყველა გლეხს სოფლებში დაეწეროს შკოლებისთვის ფული, რამდენიც გახვდებათ. მგონებთ აქ არა არის რა ძნელი თვითონ გლეხებისთვის, შკოლები კი ძალიან მკვიდრათ დაფუძნდებიან და იმათი არსებობა ერთ პირზე არ იქნება დამოკიდებული, როგორც ახლა. მაგალითად: წარმოვიდგინოთ რომელიმე სოფელი, თუნდ სოფ. აბა. მთქვამთ ამ სოფელში ცხოვრობს 50 კომლი კაცი, და გამოიყენებს, რომ შკოლისთვის ყოველ წელიწადს საჭიროა 15 თუმანი; რასაკვირველია მაშინ ეს ფული გაიყოფა ამთ-ზე და ყველა კომლს ერგება 3 მანეთი. ჩვენის აზრით ეს ფული—15 თუმანი, ნაცვალმა, თუ ვისაც სოფელი მიანდობს, უნდა ყოველ წელიწადს დანიშნულ დროს მოაგროვოს.

ახალ დაწესებულ შკოლებში ზოგიერთ სოფლებში არის დადებული იმისთანა წესი: შკოლისთვის თვითონ სოფელი ქორაობს სახლსა და ყველა მოწაფის დედ-მამა მოსწავლეს აძლევს წელიწადში სამ მანეთს. ეს დაწყობილობაც არ არის ურიგო, მაგრამ ამასაც არა აქვს სამუდამო და მკვიდრი საძირკველი. ჩვენ თვითონვე დიდხან გეგმავთ მასწავლებლებთან ლაპარაკი, და ყველანი იმასა ჩივიან, რომ თავის დროს არაინ არ აძლევს დაწესებულს ფულს. თუმცა დედ-მამები, პირდაპირ ფულია მაგიერათ აძლიონ პური ან ღვინო, მაგრამ ამასაც არ ასრულებენ. ამასში გამოდის უთანხმოება, ჩივილი და ვაი-ვაგლახი. ძალიან თავ გაწირული კაცი უნდა იყეს,

დანახვა ის გარემოება, რომლისა გამოც ის მოითმენდა უსარგებლო გარდასმტებულ სიმძიმეს თოვლისას, სიმაღლით ფუტანხევისას და გაეღას იმ მძიმე თოვლით დატვირთულ ხიდზე ზედის ზედ შეიღოთ ფურგონთა.

თუ მხედველობაში მივიღებთ თოვლის სიმძიმეს ერთი კუბის ფუტისას ოცდა შვიდს ნახევარ გირვანქას და ამის შესაფერ ვიანგაროშებთ სიგრძეს ხიდისას ოთხმოცდა რვა ფუტს, სიგანეს გასასვლელის ნაწილისას თექვსმეტს ნახევარს ფუტსა, მაშასადამე იმ ნაწილში, როდესაც გაწყდა ჯაჭვი, ტვირთი ხიდისა შეადგენდა ათას ხუთას ფუტსა მარტო თოვლსა. ეს მხოლოდ ხიდზე სასაირალო ადგილზედ, და თუ ამას დაუმატებთ მესხეთის ნაწილს თოვლისას, რომელიც იღვა პერიღებზედ, სარტკლებზედ და თვით ჯაჭვებზედ, მაშინ სიმძიმე თოვლისა შეუტოვამელად შეადგენდა ათას რვაას ფუტამდე. მაშინ, როდესაც ხიდის გამოკეთებელს არც შეეძლო და არც ჰქონდა ღონისძიება მოეხმარებინა ერთი ორათ ძვირი ჯაჭვი იმ განზრახვით, რომ ოდესმე ხიდზედ იქმნებოდა ის სიმძიმე თოვლისა, რომელიც აშვი-თად იცის ხოლმე მუთაისსში, მით უმეტეს, რომ იმ თოვლის ყოველ დღეს გადაყრა ადვილი შესაძლო იყო და რადგან ამაგებს, წინეთ დანახვა არას გზით არ შეე-

რომ ამისთანა შემთხვევაში ითავოს და გლეხების შეიღებს ასწავლოს. ადვილი გასაგებია, რომ ვინც ამისთანა საქმეს შეუდგება და სოფლებს შკოლებში მასწავლებლობას იკისრებს, ძალიან თავ განწირული კაცი უნდა იყოს, მაგრამ ესეც ადვილად გასაგებია, რომ რაც უნდა თავი შესწირონ ამისთანა პირებმა და სხვა და სხვა გაჭირება ითმინონ, შიმშილს და ტანთშიშველობას კი ვერ მოითმენენ, რადგანაც ეს თვითონ ბუნებას ეწინააღმდეგება. ეს ფაქტი გვემტკიცებს, რომ ჯერ სურვილით და ძალადაუტანებლათ არაინ გლეხთაგანი ადვილათ შკოლებისთვის ფულს არ გამოიმეტებს, თუმცა მსურთ კია, რომ შკოლები დაფუძნდეს და შეიღებმაც წერა კითხვა იცოდნენ.

ჩვენ ძალიან ძვირათ ვთვალთ ამ საქმეში მოქმედ პირებსა, რომელნიც ცდილობენ რაც შეუძლიანთ ყოველ ღონის ძიების პოინსა, შკოლების გაძირვებისთვის; მაგრამ ყოველ ამისთანა პირს ეთხოვთ და ვევედრებით საფუძვლიანათ დაიჭირონ საქმე, რომ სახალხო განათლება ერთ პირზე არ იყოს დამოკიდებული. სჯობს ნუ ავიჭირებთ და მარტო მიბაძვით ნუ დავარსებებ შკოლას, თუ კი იმის დაარსება საეჭვო და დროებითი იქნება; მარტო მიბაძვა იქამდინ მიგვიყვანს, რომ შეგვეპარება მრავალი შეცდომილება და ჩვენსავე შეცდომილებას ჩვენვე ვერ გავიგებთ, რაც უნდა აშკარა შესანიშნავი იყოს.

ბილვე გავმარტებთ, რომ ჩვენი შკოლების დღევანდელი, გაძირვება, წინ წაწევა და ნაყოფი დამოკიდებულია მკვიდრს და საფუძვლიან შემოსავალზე. შამისოთ, მკითხველო, საუბედუროთ, სულ ფუტკა. მერთმა იწეობს ამ შეცდომილებას და განსაცდელს მოგვაშოროს და ჩვენ სახალხო მოქმედ-პირებმა ითავონ ღონის ძიების მოპოვება, რომ შკოლებს რიგიანი და მკვიდრი საძირკველი მისცენ, რომ ისინი (შკოლები) უფულობით არ დაიხურნენ. ჩვენი პატარა ლიტერატურა და აგრეთვე „დროება“, თავის მხრით, შეეწყვეს ამ საქმეში თავის რჩევით და დარბევით, თუ სხვა რამ მატერიალური შეწყვეს არ შეეძლება.

**3. თ.**

ნ ა ვ თ ლ უ ლ შ ი ქ ა ლ ე ბ ი ს შ კ ო ლ ი ს გ ა დ ე ბ ა ზ ე . 17 თებერვალს მე დავეწარი ნათელღობი, სადაც კნ. მ. მელიქოვისამ ითავა პირველ-დაწყებითი შკოლის გაღება ქალენისათვის. ტფილისში ყველა ამისთანა შკოლები კეთილ-

ლო, ამისთვის ჯაჭვები იყენენ მოხმარებულნი იმისთანათი, რომელნიც აიტანდნენ ქვეითათ მოსაირულეთ და მსუბუქ-ეკიააქებთ სიმძიმესა, ესე იგი ექვსას ფუტამდის დროებით ტვირთსა უშიშრათ, გარდა საკუთარის სიმძიმისა, და თუ ამას დაუმატებთ შეიღის ფურგონის და იმათის ცხენების სიმძიმეს, რომელნიც ზედზედ გავიდნენ ხიდზედ და თვითულის იმათგანის სიმძიმეს, რომელიც შეადგენდა ორას ორას ფუტსა, და იმას, რომ სამი ფურგონი ერთად ხიდთან ჩაგარდნენ წყალში შემდგომ ჯაჭვის გაწყვეტისა, მაშ არ არის არა ვითარი ეჭვი, რომ ერთსა და იმავე დროს იღვა ხიდზედ სამი ფურგონი; გარდა ამისა არ არის საეჭვო, რომ ხიდზედ გასვლის დროს ფურგონები ანძრევდნენ მას ძლიერათ; ისინი მოქმედებდნენ იმაზედ არამც თუ მარტო სიმძიმით, როგორც იმავე დროს მდებარე თოვლი, არამედ შემსურველის ძალით, რომელიც ემსგავსება წერაქვით ცემის ძალასა.

აი, გარემოებანი და ის დამტკიცებანი, რომელნიც ხიდის აღმშენებელს მოჰყავს თავის განსამართლებელათ და მასზედ, რომ ჩაქცევა ხიდისა არ იყო არც მცირედი იმის ბრალი. ხოლო რაიცა შეეხება იმას, რომ შეეძლო თუ არა იმას, რადგან ის მაშინ იყო მუთაისსში, წინეთ გაფრთხილება იმ შემთხვევისა,

მოქმედი საზოგადოების ხელშია. რადგან კნ. მ. მელიქოვისა იმ საზოგადოების წევრია და ამასთანავე ნათელღობიც ცხოვრებს, ამისთვის ეს ახლად გაღებული ნათელღობის შკოლა პირდაპირ იმის მზრუნველობის ქვეშ არის.

ამ ქამად შკოლაში იმყოფება ორმოცდა სამი ახალ-გაზდა ქალი. იმ შკოლის დასათავლიებლათ რომ შეევედი, სწორეთ გული გამინათლდა. პაწაწა ქალები იმ დროს ერთ ოთახში ისხდნენ სადილათ. უნდა მოგახსენოთ, რაც შეეფერებოდა კარგი სადილი ჰქონდათ, ასე რომ ერთმა იქ მდგომმა ხუმრობით კიდევ წილა-პარაკა, მერთმა ჰქმნას, მალე არ მოკვთილიყო ამისთანა კარგი სადილები.

მეფიტიფელის მზაკარა ენამ რომ ყოველი კეთილი საქმე თვის დასაწყისშივე არ მოსწამლოს, ხომ არ შეიძლება! შორს, მაგისტანა აზრი! ეგ არაოდეს არ მოხდება! მანსაკუთრებთ მე რომ კნ. მ. მელიქოვის თაოსნობა და კეთილ-მოქმედებაში დაუცხრომლობა გამოგონია, მაგისტანა სიტყვები რა საკადრისია!...

მეორე უფრო დიდი და ნათელი ოთახი შკოლის საკუთრებით იყო გაწყობილი. აქედანვე ტაბლიცები ეკლდა; ყველა შეატყობდა, რომ სწავლება ამ ოთახში უნდა ყოფილიყო.

იქ სტოლთან ერთი პატარა ქალი იღვა თავ-შეხვეული და დაგოჯილი ტანსაცმლითა.

შკოლის მზრუნველმა უთხრა თავის თანა-შემწესს, არა, მე ამ ქალს არ მივიღებ, ქრობთ შემოატრევილი ტანსაცმელი აცივაო. ამ დროს მეორე კუთხიდან ხმა მომესმა: „რა ქმნას გაჭირვებულმა მაგისტამ დედამა! პარავთ ჩაქმევა და მოგლა რომ შესძლებოდა, ხომ თვითონაც გაზრდილა. ამ კუთხეში იდგნენ დედაკაცები და ევედრებოდნენ მზრუნველს: „შალბატანო, ჩვენი ქალები მიიღეთ“. — მტყობოდა, რომ მახოვრებლებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავის ქალების გაზრდისა.

ამ შკოლიდან გამოსულმა ქალმა უნდა იცოდეს კარგი პრა და კრევა, კარგი ქსოვა და სხვა ამ გვარი ხელსაქმე, კარგი რეცხვა და წერა კითხვა. ამასთანავე უნდა ისწავლოს რიცხვთა ანგარიში იმ ზომამდე, რამდენიც შინა-ოჯახობაში დასჭირდებათ.

მოსწავლე ქალების მომეტებული ნაწილი სომხები და ქართველებია; რუსის და ბერძნის ქალებიც არიან, მაგრამ ცოტა.

შეგლამ კარგათ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედის შთამომავლობის აღზრდაში. ძაცის თავდაპირველი წრე ცხოვრებისა დღის ხელში გაივლის. შოველი ცუდი და კარგი თვისება ამ დროს გამოაჩნდება კაცსა. იმისი შემდეგი ზნე და ყოფ-ქცევა ამ თვისებაზე დაფუძნდება. ამისთვის რამდენათც გონიერი და კარგი ზნისა იქნება დედა, იმდენათ უფრო საიმედოა, რომ კარგი თვისების გამოვა შვილიცა. რა რამდენათ უფრო გონება-გახსნილი და ზნე სრულნი შეიქმ-

ამაზედ შეიძლება თქვას მხოლოდ ისა, რომ სამის დღის წინეთ იმ შემთხვევამდის შესახებ თოვლის გადაყრისა, მან მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომელიც კი იმაზედ იყო დამოკიდებული, და ის ღონისძიება მოყვანილ იქმნა თუ არა აღსრულებამში, იმის ბრალი სრულებით არ არის, რადგან აღსრულება იმისა ხიდის ამშენებლისაგან არ ითხოვებოდა.

შეალო აეტარო ქართულის გაზეთის „დროების“ კორრესპონდენტის მესამე ნომრისა.

მე ვგონებ, რომ, როდესაც თქვენ წ იკითხათ ამ სტრიქონებს, მაშინ დამეთანხმებით, რომ თქვენ არა გქონდათ სიმართლე, შეგეტანათ ესრეთი ბნელი ეჭვი ჩემზედ და ჩემს რუპუტაციასზედ.— მე თქვენ ვერ გიცნობთ და არც ვარ იმისი მსურველი; არ ეციე ამასთანავე გესმის თუ არა ეს საქმე, რომელიც უნდა იყოს საეჭვო, ამიტომ, რომ მე ვგონებ თქვენ უნდა იყოთ მუთაისის მცხოვრები, სადაც ყოველივე, რაც მე ჩემს გასამართლებლათ ვსთქვი, იციან ქუთაისელებმა, მაშ თქვენ, შესაძლებელია, შეცთომით და მოუფერებლათ დაგეწერათ ესა, ესე იგი, რომ ჩაიბგრა ხიდი, რომელიც იყო აღშენებული ამა და ამ კაცისაგან, მაგრამ, მოწყალეო ხელმწიფევე, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ვინც

ნებან ქალები, იმდენათ უფრო გაკეთდნენ მზრუნველობა, ამ შემთხვევაში მით უფრო მაღლობდნენ უნდა ვიყვნეთ იმ პირებისა, რომელნიც ცდილობენ მრავალი დედის განათლებისათვის. მხოლოდ ეს არის სანატრული, რომ ყოველს ამ გვარს დაწყებას კეთილი ბოლო მიეცეს.

**X.**

— 14 თებერვალს მბილისში მოვიდა პრინცი აწილ მურატი, რომელმაც შარშან კნ. მინგრელსკის (დადიანის) და შეერთა.

**„დროების“ კორრესპონდენტი**  
**მუთაისი.** ცხრამეტს ამ იანვარს დავესწარი მუთაისში თეატრის წარმოდგენას სასარგებლოდ მუთაისის გიმნაზიის ღირებ მოსწავლე ქაწილებისთვის. პირველი მზრუნველი ამ თეატრისა იყო უ. ლოლაბერიძე, რომელს უმაღლიან ზემოხსენებული ქაწილები და კიდევაც ღირსია მაღლობის ამ გვარ კეთილსინდისიან გასჯისათვის. მანამდრომდე ამ თეატრისა იყენენ თავდა-აზნაურნი, რომელთა კეთილად უჩვენეს თანაგრძობა თანთან ქაწილების შემწეობაზე.— წარმოდგენა ეს უნდა მომხდარიყო მათის აზრით აღრევე, რაიმე დამატკობველი მიზეზი რომ არ გამოჩენილიყო; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, თითო ორორი ამ გვარი შემთხვევა რამე არმოხდეს ყოველთვის არ შეიძლება.— რადგანაც მკითხველი მსურველი იქმნება შეიტყოს თუ რა დამატკობველი მიზეზი, აღმოჩნდა; მეც იმედი მაქვს, ნებას მომცემს, მოგახსენო რაოდენიმე სიტყვა შესახებ მისა, თუ რა მოხდა ამ თეატრის წარმოდგენაზე ე. ი. 1) რამოდენს ხანს მოუწოდნენ წარმოდგენას და 2) როგორი ყურადღება მიექცია საზოგადოებამ მათს წარმოდგენას. ცოტა თუმცა ზოგად მოგახსენებ ამ ორის წინადადების ახსნა, მაგრამ ეს არაფერია, საქმე ის არის რომ მხოლოდ ქეშმარიტი სიტყვები წარმოვსთქვა:— ჯერ გამართა რჩევა ხან ერთის სახელში და ხან მეორის სახელში და ამან ერთს კვირას გასტანა; ბოლოს როგორც იქნა წარმოდგენა გადაწყვიტეს; როლების დარიცხვას მოუწოდნენ ორს კვირას, მაგრამ რათ გინდა! დღეს დილით რომ დაგვიმედებდა, აი მე ამ როლის წარმოდგენი ექმნებოდა, საღამოზე მოვიღოდა, არა ყელი მტკივა და გავცივდები, ვეღარ წარმოვადგენო. მეორე ამბობდა: არა სხვაგან ვარ დაპატკობული და განმეორებაზე ვერ დავესწრებო და სხვ. ამ გვარ მდგომარეობის გამო თეატრი, რომელიც უნდა წარმოდგენილ იყო შობებზე, გარდასცილდა ახალს წელიწადს და ნათლის ღებას. თვინიერ ამისა გამოჩნდნენ ზოგიერთნი დიდ-დიდ

თქვენ შეეხებოდით ჩემს რუპუტაციას, ამ ძვირფას ნივთს ყოველის კაცისათვის, უნდა მცირედი მანც დაფიქრებულიყავით ამ მუხლზედ და იმის შედეგზე. თქვენ მიერ ჩემზედ შეტანილი ეჭვი, ვერავითარს მოქმედებას ვერ აწარმოებს მუთაისის ქალაქზედ, რადგანაც აქ ყველამ კარგათ იცის ხიდის საქმეც და მეც კარგათ მიცნობენ; მაგრამ რადგან გაზეთს, რომლითაც გისარგებლიათ ჩემის შეურაცხებისათვის იქვის დადებითა, კითხულობენ მთელს ძაგასიაში, და იქნება რუსეთშიც, მაშასადამე ჩვენებას ჩემის გვარისას ცუდის მხრათ წინაშე თითოეულის მკითხველისა, თვინიერ საკუთარის მიზეზისა და სიმართლისა, მე თქვენ ნებას არ მოგცემთ, და თუ თქვენ შემდგომ წაკითხვისა ამა სტატიისა არ განაცხადებთ ამავე გაზეთში, რომ თქვენ მიერ დადებული იქნენ ჩემის პატივის შესახებელი, იყენენ დაწერილი მოუფერებლათ, მაშინ მე იძულებულ ვიქმნები კანონიერის წესით მოგიწოდოთ თქვენ სამსჯავროში და მოგთხოვოთ პასუხი თქვენ მიერ ჩემის შეურაცხებისათვის.

ინჟინერი ნ. ზუბოვი.



სხილ-პირები, რომელნიც უშლიდნენ ზოგიერთს წარმომდგენლებს და კიდევაც კიხეიდან მათში გარეყას\*). ლმერთა, როდის იქნება ეს ბოროტება ზოისპას ჩვენში, ლმერთა, როდის იქნება, ერთი მეორის ხორცს არ სჭამდეს?!? მაგრამ ამ ქვეყანას საესეს ღრიალვებით შეიძლება კაცმა კეთილი რამ იფიქროს? არა, დამერწმუნე. ჟოველს კაცს ის აწუხებს, მაგან რათ მოეკმედე ვგრეთი კეთილი და მე კი ვერაო. ლმერთა, რომ ისურვოს, იმას იმდენი ღონეც არ მოსდევს, რომ კეთილი რამ მოიქმედოს, მაგრამ ისრე დამონება ერთს რამ საძაგლობას და ქვეყანას თავის აძაგებს თავის შურითა. ეს შური და საძაგლობა მეთს ვერას შეესწრება. სწორეთ მოგახსენათ, მაშინ იქნება ჩვენში ქვეყნობა, პატრიარქობა და ერთობა, როდესაც ის ძველიდან ბუმბერაზების აზრები მოისპობიან. ის კი არა თუ სთქვან, შეგვიერთ ჩვენს ყმაწვილებს, უჩვენეთ გზა ქვეყნობის, არა. ისინი უსაბუნე ყოველს კეთილ საშუალებას, რომლით უნდა აღიზარდნენ ჩვენი ყმაწვილები. ისინი ისე დაბრმავებულნი არიან, თუმცა ხნით ათა, განებით მაინცა, რომ არა ერთარს საშუალებას არ უჩვენებენ თავიანთ ქვეყნის ყმაწვილებს, რომელთაგან უნდა მოვლოდნენ სასარგებლო ნაყოფს, როგორც მამულისთვის, აგრეთვე საზოგადოებისათვისაც. — მათი საქმე მხოლოდ ის არის, რომ გაძინდნენ ძალიან მაგრათ სევეით და დიდგონ დასაძინებლად გუდასავით, ან ეს ძვირფასი ღრუ დაკარგონ სხვა რაიმე უხეირო საქმეში. სანამდის უნდა იძინონ ნეტაე?... არ არის ნეტაე საზღვარი მათის ძილისა, ნეტაე, როდის იქნება ის ბედნიერი ღრუ, როდესაც ის ძველ ძველ ბუმბერაზები გამოახლენ თვალებს და შეხედენ უცხოს შევიწროს ვარდს მათ ველზე გაშლილს დააღყავებულს.\*\*) მინ უნდა ზრუნავდეს ჩვენი ყმაწვილებისთვის? ისევე ჩვენ. მაშინამ ის ბუმბერაზები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ახლის სინდისიანის აზრისა სანამდის ისინი თავის აზრს არ შეიცვლიან, მანამდის ჩვენს წარმატებას გლახა ბოლო ექმნება. . . . — მსლა მსურველი ვარ მკითხველს მოგახსენო რაოდენიმე სიტყვა შესახებ მეორის წინადადებისა—თუ როგორი ყურადღება მიაქცია საზოგადოებამ თეატრის წარმოდგენას. შემართად სამწუხარო სახილველი! საწყალი ჩვენი საზოგადოება ისე მიჩვევია ლაზარობას რომ წარმოდგენებიც, თუ ამ გეარო სასაცილო რამ არ იქნა არ უჩვენებენ თანაგრძობას. მე არ ვიტყვი იმას რომ „შინამინის ქული ცული“ და „მორი სასიძო“ კარგია, არც იმას, რომ „მორი სასიძო“ ცულია და „შინამინის ქული“ კარგია.\*\*\*) მე ჩემი საქმე არ არის, მე ამას მოგახსენებ, რომ ჩვენს საზოგადოებას ისე მიუჩვევია ყური უსაფუძვლო სიტყვების დამახოცენისათვის, როგორც მაგ. „პარგი იყო იმერელი, უცხო, შევიწროება იყო“ და იმას კი არ უყურებს რა აზრი გამოდის იმერლის ლაპარაკიდან, ან რა მნიშვნელობა აქვს მას პიესაში. რომ ჰკითხოთ, ყველას ზეპირად გეტყვიან და გიქმენ ერთობით, მაგრამ სახელდობ რომ გამოიძიოთ თუ რა არის საქმე პიესაში, იმას ვერ გიჩვენებენ.—თუმცა პიესაში სომხის როლი არ არის სასაცილო და ან იმერლისა, მაშინ იტყვიან „არსად არ ვარა“; მისთვის რომ ბევრი ვერ იცინეს და ვერ დაეკამყოფილდნენ თვალებიდან ცრემლის ღვინო. ისინი არ უყურებენ რამდენათ ასრულებს

თავის როლს თვითთელი წარმომდგენელი პირი, ან რა არის თავი შინაარსი მათის როლისა; ისინი უყურებენ გარედგან, როგორი სახე აქვს წარმომდგენელს პირს, ან როგორ იქცევა და იმათ სიტყვებს კი არ იგნებს. საზოგადოთ ვერც მთელი პიესა შეუგნია. იტყვიან „უცხო იყო, შენ ნუ მომიკვდები, როგორ იმდერა იმერელმაო, ან ჩიბუხი როგორ გამოირეკაო. ან ლლუბუნატარი როგორ სთქვიანო“. ეს არის მათი საქმე, ამაზე, მხოლოდ აქეთ მიქცეული ყურადღება და შინაგანთ არ უჩვენებენ თანაგრძობას.—რა დრომდის იქნება ნეტაე ეს გონების სიბრმავე ჩვენში, რამდენს ხანს უნდა ვუყუროთ ჩვენს საზოგადოებას, რომ გამოახილონ თვალები და შეუდგენ კეთილ საიმედო გზას?!?!? მახედეთ, შეხედეთ ქვეყანას, არც ერთი მხარე არ არის ჩამორჩენილი განათლებაზე, მიეცეთ მათ მაგალითს, ნუ გეძინავს ამოდენი, დავადგეთ იმ გზას რომლის შემწეობით პირდაპირ ვხედვით საგანს და ვგრძნობდეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველს ბუნების ქმნილებას ქვეყანაზე, რომ ეს ბუნების ძალი მოვიხმაროთ ჩვენ საკეთილდღეოთ. ნუ ვკარგავთ უხეიროდ იმ ძვირფასს დროს, რომელს ვეღარ მოვესწრებით და რომელს ვმარხავთ ჩვენის მიუღვენელობით, ფესკურულს მიწაში. საიღამ, აღარ არის საშუალება, ამოვიდნოთ. იგრძენით, ვე არის პირველი და უმთავრესი საშუალება, რომლით უნდა წავსწოთ წინ ჩვენი ცხოვრება.—უკეთეს ეს საშუალება მოვიკელით ჩვენ განათლების შეძენისათვის, მაშინ ჩვენ აღარ დავგრძობა არაერთარი საშუალება, რომლის იმედით უნდა ვიზრუნოთ კაცობრიობის წარმატებისათვის!. შეხედეთ უკანასკნელს ჯიანჭველას, რომელიც მრთელი ზაფხული ზრუნავს საშუალებისათვის მომავლის დროისა, მაშასადამე ის გრძობს, რომ ზრუნვა მომავლის დროისათვის არ იკარგება უსარგებლოდ.—მაშ ახლა ეს მიბრძანეთ, კაცი, რომელიც ყველა ბუნების შეილზე უგონიერესია ქვეყანაზე, ის არ უნდა ზრუნავდეს თავის მომავლის დროისთვის?!? არ ზრუნავს ქვეყანაზე მხოლოდ ის ქმნილება, რომელსაც არა გაეგება რა და არ იცის თუ რასთვის არის დადგენილი ქვეყანაზე.— ჩვენ ლმერთმა გეგმოროს ამ გეარო სიბრმავე და შემდგომი მინც ვეცადოთ, რომ ეს ჩვენი სულითადი და გულითადი დაუღალავი ზრუნვა არ დავარდეს ფუჭად, ვეცადოთ, ჩვენმა შრომამ გამოიღოს კეთილი ნაყოფი, რომელი მოფენდეს ჩვენს მომავალს კაცობრიობას თავის ბრწყინვალეს და დაუშრეტელს სხივს, რომლისგან ენათებოდეს ყოველს ქმნილებას ბუნებისას, როგორც დიდს, ვგრეთვე მცირეს და მით შეიქმნეს მრთელი კაცობრიობა კმაყოფილი და ბედნიერი, როდესაც ის შეხედავდეს, რომ მისს დაუღვრომელს ზრუნვას და თავ განწირულობას კაცობრიობისადმი არ დაუკარგავს ის უმთავრესი აზრი, რომლის აღსრულებაში მოვეყნისათვის ის სწირვიდა დღეს და ღამის. მე გეგონა დროც არის და ვალიც შეუდგეთ იმ გზას, რომელი ხდის კაცს კაცად და არა მხეცად.

შეკაძე.

1869 წელსა  
4 თებერვალს,  
ქ. შუთაისში.

შუთაისის შუბერნი დგან. შოთაში 2 საათზე დეკემბრის 24-ს მოვიდა ცეცხლი შენობას, რომელიც იყო აშენებული უმაღლესთა პირთა მისაღებათ; ეს შენობა იყო აშენებული საქალაქო სუმიით.

ბაქოს გუბერნი დგან. ჯვეათის უხეღში სალიანიდან გაგზავნეს ლენქორანის ციხეში ნოემბრის 23-ს ოთხი კაცი, ყიზილბაშთაგანი მახსებებისა, რომელნიც დაეჭირათ სალიანების გაცრცელებაზე; მათ გაჰყვა

კანოი და 9 ცხენოსანი ჩაურები; რომ გავიდნენ გზაზე, მაშინ დახედნენ 60 კაცი ყიზილბაშელი მახები და ეცნენ, წართვეს ტუჩალები და გადაიყვანეს თავიანთ საზღვარზე.

პოლიტიკა.

ოსმალეთი.

ბოლგარიიდან ბუხარესტში გადმოსახლებულთა, მიართვეს სულთანს—შემდეგი თხოვნა: „თქვენო დიდებულებო! სიმაართე ხელმწიფისა არის კეთილმოქმედება, რომელიც იზიდავს იმისაკენ გულს ქვეშევრდამთა თვისთა. თქვენმა დიდებულებამ იგრძნო სიმაართლე ბოლგართა სარწმუნოების შესახებ და განათავისუფლდა ისინი ქოსტანტინოპოლის პატრიარქებიდან, რომელთაც სრულებით უკანონოთ დაემონებინათ ისინი. თუ თქვენი დადებულება ისურვებდა ბოლგარების განთავისუფლებას პოლიტიკურათა, როგორც იყენენ ძველათვე თავისუფალნი, მაშინ ამითი თქვენის სახელმწიფოსათვის იპოვიდით ახალს ღონეს და სიმაგრესა. თქვენო დიდებულებო! ოსმალეთის ცის კამარაზე დაღვრემილი მოგროვებულან შავი ბედის წერის ღრუბლები და უნდა მოხდეს საზარელი ქარიშხალი. ამ გეარო შეჭირვებულნი გარემოება ჩვენ საყვარელს ბოლგარიანდაც მოქმედებს: ამიტომ ყველა პატრიოტი რაცხს ვალად, რომ იყოს მართალი ღმერთთან. სინდისთან და სამშობლოსთან. ოსმალეთის მტრები დაუღვრელათა მოქმედებენ, და აწუხებენ აგრეთვე ჩვენს სამშობლოსაც. ოსმალეთის იმპერიას უჭირს დიდი მიმშველბელი ძალოვანი მოკეშირე; მაგრამ ვის შეუძლიან ისე ერთგულად გემსახუროთ, როგორც ბოლგარებსა, რომელნიც შეადგენენ უმეტეს ნაწილს ხალხისას და რომელთაც დიდათა მსურთ ოსმალეთის სძთელე და განუყოფლობა? რომელი ბოლგარი არ შევარდება სისხლის ომში, რომ ოღონდ კი ოსმალეთი დარჩეს განუყოფელი და მთელი? მერე მაშინ, როდესაც მიეცემთ იმათ ყველა კუთვნილი თავისუფლება ოსმალეთისაგან, რომლის სიმთელეზედ იქნებ დამოკიდებული თავისი საკუთარი სამშობლოს ღონეცა? მნდეთ. ხილმწიფე, თქვენს კამოცდით ბოლგარებსა, რომელნიც ხუთი ათეულის განმავლობაში ემსახურებიან ტახტს სამართლით და სარწმუნოებით. ხელმწიფენო ეძებთ ღონე თქვენი ქვეშევრდამთა სყვარულში და არა ნემისანს თოფებში. შეხედეთ, თქვენო დიდებულებო, აესტრია! როდის უფრო დონიერი იყო: მაშინ როდესაც მენგრეას ედგა იმისი მიძიმე უღელი, თუ ახლა. როდესაც წმ. სტეფანეს გვირგვინი გაახლეს? მაშინ აესტრია სრულებით დაცემული იყო და ახლა კი ნელგლა მიდის უწინდელს უკეთესს მდგომარეობაში. ამიტომ გვედრებთ თქვენს უპირატესობას: მიბაყრით გულს-ხმა ჩვენს წადილსა. თუ ბოლგარია იქნება დამკაცოვლებული, მაშინ ოსმალეთის იმპერას აღარ უჭირს შევლა მერობისა; და აღარც იქნება დამოკიდებული იმის დიპლომატიის წყალობაზედ! თქვენო დიდებულებო, ცხოვრება და დაღუპვა ოსმალეთისა არის დამოკიდებული მხოლოდ თქვენს საკუთარს ნებზედ. შეიქმენით კაროლათ თავისუფალი ბოლგარისა და იყავით ოსმალეთის სულთანთ—და უწინდელი დიდება მუროლისა, ბაიზეთისა და მაჰმადი II კიდევ დამშვენებს თქვენს სახესა.“

საბერძნეთი.

ათინა, 4 თებერვალს. „Independance Belge“ სწერს, რომ კაროლი სთხოვს სამინისტროს შედგენას იმ პირებს, რომელთაც 1864 წელს, თავის მინისტრობის დროს თავიდან მოიშორეს კანდიდების თხოვნა, რომ შეეწირნ

კუნძულის განთავისუფლებას და შეერთონ საბერძნეთთან. კაროლის სასახლეზე შეხვედნენ დიდებულნი მიკრული განცხადება, რომელშიაც უჩვენდნენ კაროლს ტახტიდან გადადგომას.—შრანციხული მთავრობის გაზეთები ამტყუნებენ დაყრილს ხმას, ვითომც შრანცია აპრობდეს იარაღის ძალით დათანხმობს საბერძნეთი რომ დაუთმოს ისა, რასაც იმისგან ითხოვინ. ხმა დაადგეს, ვითომც ოსმალეთის ჯარი სამის დღის შემდეგ აპრობდეს საბერძნეთის საზღვრზე გადასვლას, თუ მანამდის საბერძნეთი არ დათანხმდა კონფერენციის გადაწყვეტილებას; იმას დიდი მხნობით უნდა ომის დაწყება, თუ საბერძნეთმა უარი შესთავალაო. სხვანი ამბობენ, ამ შემთხვევაში, ოსმალეთის სახელმწიფო დაცლის საბერძნეთს პირველად ომის დაწყებასაო.

— 5 თებერვალს. ბუშინ და დღეს აქ ერმა იყო შეკრება და ხმა-მაღლა ემუქრებოდნენ კაროლსა. მიღრე ჯარი არ იმარეს, წესიერება არ დადგენილა. კაროლმა გარდასწყვიტა, რაც უნდა იყოს, კონფერენციის დეკლარაციას უნდა დემორჩილდეთო და ამის გამო ეძებს მინისტრებსა, მაგრამ ვერაინ ვერ ჰპოდა იმისთანა სამინისტროს შედგენასა, რომ წინათ თანხმა გახდეს კონფერენციის დეკლარაციაზე. ამბობენ, რომ კაროლმა აცნობა ტელეგრაფით უფ. ჩანგბეს, იქნება იმან იკისროს სამინისტროს შედგენაო, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსულა. ბერლინის კორესპონდენტი გაზეთის Independance Belge. ჰტიქრობს, რომ უნდა შესდგეს დროებითი სამინისტრო, რომელიც რაკი მიიღეს კონფერენციის გადაწყვეტილებას და სადაო საქმე, მორჩება, მაშინვე გადადგება სამსახურიდან. ქოსტანტინოპოლიიდან გეცნობებენ, რომ ოსმალეთის ჯარი მოუთმენელათ ელის—ბრძანების მიღებას, რომ შეესიონ საბერძნეთსა. პორტა აქჩარებს ხომალდების შეიარაღებას. ახმეტ-უაშა გაგზავნეს ანგლიას, რომ მოიპოვოს, რაც საჭიროა, ზღვის ხომალდების შესაიარაღებლათ და აქჩარებენ, რომ მალე შეასრულოს თავის მინდობილება.

„მავასის საგენტომ“ მიიღო ათინიდან შემდეგი წიგნი:

„აქ დიდი შიშით ელიან მთავრობის პასუხს კონფერენციის გადაწყვეტილობაზე. შევლას სჯერა, რომ ის თავის შესაფერს პასუხს გასცემს. სხვა-და-სხვა აზრის პარტიები ამ საქმეში ერთ სულობით მოქმედებენ. ისინი ჰტიქრობენ, ჰელინიები არ უნდა დამორჩილდნენ იმისთანა მოთხოვნილებას. რომელიც დაკარგვინებს საბერძნეთს თავის გავენას აღმოსავლეთის საქმეზე და ჩააგდებს გასაჭირში. მთავრობა სიმხნით მოქმედებს, რომ არ დამორჩილდეს დიპლომატიის გადაწყვეტილებას, თუ ის იქნა მეტად შეუსაბამო საბერძნეთისათვის. წინათ რომ სამხედრო შკოლა გააუქმეს, ამ ქამად ისევე გახსნეს. სადაც ეს შკოლა იყო, იმ სახლებში ახლა გამართეს სამხედრო, შენობა რომ ძველი იარაღები ახალი მოწყობილობის თოფებთა გადააკეთონ, მოამზადონ პატრონები და სხვა სამხედრო საგნები. შეიარაღება ყველგან არის. პროვინციებში გაგზავნეს აფიცრები, რომ მოავროვონ ეოლონტერების კორპუსები, რომელნიც მალე შესდგებიან. ამ კორპუსში იქნება ოცდა ათი ბატალიონი და თითო ბატალიონში ხუთას-ხუთასი კაცი შეიარაღებული ახალი მოწყობილობის თოფებითა.“


ამ კორპუსს გარდა რამდენი კორპუსი კიდევ სხვა უნდა შეკრიბონ, რომელნიც დაემორჩილებიან ცალკე წეს-დებსა და აგრეთვე სალაშქროთ გამოიყვანონ საერო გეარდია, რომელიც არის ორმოცდა ათი ათასი კაცი-სგან შემდგარი. საზღვარს გარეუ შეურიგდენ ძალიან ბევრი სამხედრო სამზადისის და თოფიარაღის გაკეთებას; ამისათვისაც აფიცრები გაგზავნილი. გეარწმუნებენ, რომ რამდენიმე

\*) მე მელაპარაკა ერთი წარმომდგენელთაგანი ნამდვილად, რომლისთვის მოციქული მიგზავნათ და იმან კი სინდისიანათ უარი უთხრა და არ დაიშალა წარმოდგენა.

\*\*) მე ვგონებ ვერც იგრძნობენ.

\*\*\*) ეს პიესები იყო წარმოდგენილი შუთაისის სასულიწმინდო კლუბში.





სამხედრო ხომალდის გაკეთებას შეუროგდენ და ზოგიერთი ხომალდი კიდევ იყიდეს. ზღვის ჯარი ექვსი ათას კაცამდის უნდა იყოს, გარდა ვოლონტერებისა, რომელნიც უეჭველათ ძალიან ბევრნი აღმოჩნდებიან.

რანგბებს მოქმედება აქ ძალიან მოსწონთ და ყველანი აქებენ.

ბევრი მახრის ქალაქებიდან გეაცნობებენ, რომ ყველგან გაიმართა საერო ხელისმწერა და მთავრობის პირების პატრიოტული ყოფაქცევით კიდევ უფრო გააღვიძეს ეს ხელისმწერა. საზღვარს გარეთიდან მოსული წერილები გვიმტკიცებენ, რომ მსმალეთის ჯარი მისსალიაში და მპარში თუმცა დღითი დღე ემატება, მაგრამ ჯერ კიდევ ისე გაძლიერებული არ არის, რომ დაიწყოს თავსდაცემა. ამასთან ესეც უნდა დაუმატოთ, რომ ის არც რიგინათ არის მომზადებული. ლამიაში და სხვა მოსახლერე ქალაქებში მსმალეთიდან გამოდიან ბერძენები და სხვა ქრისტიანები, რომელთაგანაც ადგენენ ვოლონტერების ბატალიონებს და გზის მასწავლებლებს უცხო მხარეში. საბერძნეთის მთავრობა უნდა არ ამბობს მისსალიაში და მპარში შესევაზე, თუ ვინცოცაა მომინაობა ატყდა.

— „ზავის სააგენტოს“ კორესპონდენტი მოგვითხრობს შემდეგს ამბავს: „საზოგადოებრივად გაამართლა რანგბებს მოქმედება, რომელიც იქცეოდა თავის ერის ღირსებისამებრ. ის არ გავრცა კონფერენციაში და ამით ეწინააღმდეგება ახალს თეორიას, ვითომც დიდსა და მცირეს სახელმწიფოებში იყოს რაიმე გარჩევა სიმართლით. სიმართლე ყველას თანასწორი აქვს; თუ მერობის ერნი სხდებიან მოსამართლეთ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იმათ დაარღვიონ თავდაპირველი საფუძველი სამართლისა, რომელიც არ აძლევს ნებას, რომ ერთი და იგივე პირი მოსამართლედ იყო და მოჩივარცა. არავის არ სჯერა ამ დავის კარგათ გადაწყვეტა და ყველანი ომისთვის ემზადებიან. ახლა საბერძნეთის ჯარი ორმოცდა ათი ათას რევას თექვსმეტი კაცია გარდა საერო გვარდისა, რომელიც არის ოცდა თხუთმეტი ათასი კაცი. საბერძნეთის მთავრობა აწყობს ფლოტს ამზადებს სამხედრო საქაულს. ხალხი აღტაცებით ეწერება ვოლონტერათ.

— მანდიის კუნძულიდან გეაცნობებენ, რომ თუმცა პეტროპოლსკა იარაღი დაჰყარა, მაგრამ კიდევ რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს მანდიელებმა აღმოსავლეთის მხარეებში. წარსულის წელს რომ ამერიკელი ვოლონტერი დოქტორი ზაუ იყოფებოდა მანდიის ადგილობრულნი და ჰგზავნიდა მანდიის ბევრს ფულსა და ტანთ-საცმელსა, იმან მისწერა მანდიის დროებითი მმართველობას, რომ გავზავნოს ამერიკაში თავისი დესპანი, რადგან იმედია, იქ საბერძნეთის სახელმწიფოსთვის ფული ისესხოსო. ამის გამო ქოსტაროსის ბიძაშვილი თავისი მთარგმნელით მაშინვე განემგზავრა ამერიკას. ვოლონტერების მოკრეფა არ შემწყდარა და ელიან დიპლომატიური მოლაპარაკების გათავებას, რომ საომრათ გამოიყვანონ მთელი ჯარი. დიდი ხანი არ არის, რაც ათინაში მოვიდა იარაღით დატვირთული ამერიკელი ხომალდი.

**შრანსია.**

პარიჟი იანვრის 24-სა. „მთიცილოურ ჟურნალში“ დაბეჭდილია ერთი დეპეშა, რომელიც არის გამოგზავნილი ალჟირის ვიცე-გუბერნატორისაგან. ამ დეპეშით გეაცნობებენ შემდეგს: „აბუნტებულბობა შეაგროვეს თავიანთი ჯარი 19-ში საღამოთი ჰებელ-ამურში და ანნა-მამდის ახლოსაო; ეს ჯარი გამოვიდა საომრათ იანვრის 20-ში შრანსიის ჯართან. მტერს 2,000 ცხენოსანი და 800 ქვეითი კაცი ჰყვანდა. პოლკოვ-

ნიკს სონის მკვიდრი ალაგი დაეჭირა და თორმეტ საათამდე ომობდა. მტერი სრულებით დამარცხდა; ადგილას 70 მკედარი დარჩა და დაჭრილებიც ბევრი ჰყვანდა. ამის შემდეგ მებუნტეები დაიფანტნენ დასავლეთისაკენ. ანნა-მამდში მცხოვრებნი გაქცეულებს თოფის სროლით მისდევდნენო.“

„პოლკოვნიკი სონი დადგა ჯარით მტრის სადგომზე. სამი საათი დასვენა ჯარი და შემდეგ გამოუდგა აბუნტებულბობა. მან წაიყვანა ცოტა ჯარი, რომლის ქვეითები შესხა აქლემებზედ. ამ ომში დაჭრილა ორი აფიცარი და 8 სალდათი; დახოცილი კი ცოტა არის. ლაგვატის ჯარს ეჭირა შასპოს თოფები.“

იმავე გაზეთში იყო დაბეჭდილი ალჟირიდან დეპეშა, იანვრის 20-დგან: „აბუნტებულბობა არეულნი გარბიან სამხრეთისკენ. შუ. პოლონიენი აგრეთვე სდევნის მტერს.“

მეორე დეპეშაში, რომელსაც ჰგზავნიან პოლკოვნიკი სონი, იანვრის 21-დგან, არის შემდეგი: „მთელი ღამე ვდევნიდი მტერს, მაგრამ დავეწივე, რომელიც ძალზე გარბოდა; ახლა მოვედა ტაჯორუნში და ლაგირათა ვდგევარ. ლაუწყებ კიდევ დევნას დასავლეთისაკენ; თუ პოლონიენიც სამხრეთისაკენ სდევნის, მაშინ ვერაფერს ვაგვიხსლტება ხელიდან.“

პარიჟი, 3 თებერველს.—ღღს ყველა გაზეთებში დაბეჭდილია ალჟირიდან მოსული ცული ამბები: თავისუფალი არაბის ტომის ხალხი დეცა ტილოის მხარას, დაიჭირა ტოგუინის ქალაქი და შერიგდოსა და ლაგუატს შუა გზა შეჭრა. სამხედრო უფლებამ უტბათ შეკრიბა ჯარი, რომ მტერზე გაგზავნოს. მენერალ-გუბერნატორის თანაშემწემ დელინიმ მმუდარებით სთხოვა მაკ-მაგონს, რომ საჩქაროთ მობრუნდეს ალჟირს. შევლანი მოუთმენელათ ელოდნენ მარშალის მობრძანებას. მთავრობის გაზეთებიც ამტკიცებენ ამ არეულობას და ამბობენ, ისეთი სისწრაფით და მხნეთ შეუდგენ საქმეს, რომ აბუნტება მალე დამშვიდდებოა. ისინი ჯერ კიდევ შიარს არიან იმ ადგილზე, სადაც ფრანკუზები სახლობენ.

**ისპანია.**

მადრიდი. ზაზეთის „Independance Belge“ კორესპონდენტი, რომელიც ცხოვრებს ქალაქს ბურგში აი რას მოგვითხრობს იქაურ უბედურებაზე:

„ჩემ თანამდებობის საქმეებზე ბურგოსს მივედი და მაშინვე მიხვდი, რომ ქალაქი არ იყო დამშვიდებით. იმ დღეს ქუჩებზე არა შემინიშნავსრა; მეორე დღეს ბევრს პირ-მოღუშულს კაცს შევხვდი და ყაენახანაში ისეთი უსამოვნო გასაგონი სიტყვები მომესმა, რომ დავრწმუნდი, სწორეთ ქალაში საშიში რაღაც უნდა მომხდარიყო. მუხმზე ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ სამღვდლო პირნი და ისეთი სახით იქტირებოდნენ თითქოს ამბობდნენ, გამოდით თუ გულს გერჩისთო. შევიტყე, რომ სამოქალაქო გუბერნატორი აპირებდა ნაშუადღევს სადილს შემდეგ საკათედრო ეკლესიაში წასვლას, რომ აღწერა რაც ეკლესიაში ძვირფასი ნეტები იყო შენახული. ეს ამბავი რაღაც არ მოეწონა სასულიერო წოდებას, რომელიც ხმა მალა სჩიოდა, სამოქალაქო უფლება რათ ერევა ჩვენის ეკლესიის საქმეშიო. იმ დღეს არა მომხდარაო.

მოსს საათზე გუბერნატორი წავიდა ეკლესიაში და იმასთან გაჰყვა ნოტარიუსი, სეკრეტარი, ძვირფასი ქვების მთლელი და პოლიციის ჩინოვნიკი. პრინციპისკოპოსი და სხვა სასულიერო წოდება ძალიან ცუდათ დაუბედნენ. ცოტა ლაპარაკიც მოუვიდათ და შემდეგ გუბერნატორი შეუდგა აღწერასა. პრინციპისკოპოსი საშინლათ გაჯავრდა და დაიყვი-

რა „გვეცარცავენო“; სხვა სასულიერო წოდებამაც განიმეორა ეს სიტყვა. მღვდლებმა შეჭრიბებს უცბათ რამდენიმე სემინარიელი, სხვა საძაგლებიც თან გამოაყოლეს და ისინი ერთად ეცენ გუბერნატორს. შევლას საშინლათ სცემეს. მინდამაც გუბერნატორს ცული დაჰკრა თავში და იქვე წაქცია: მაშინ ბოროტნი სულნი მიესიენენ მშვირ მგლებით, სტაცეს ფეხში ხელი, გამოათრიეს ეკლესიიდან, ათრიეს ქუჩებზე, ყურები დაჰკრეს და საშინლათ დასჩხეს; საწყალი სულ კიდევ ფეთქდა. ბოლოს თავი მოსჭრეს დანით! მე არ ვიყავიო იქაო, ამბობს კორესპონდენტი, მაგრამ სხვანი ამბობენ, იქვე ჟანდარმები იდგნენ და არ მიეშველნენო. არ მინდა ეთქვა, თორემ ვიცი, რომ ბურგოსის სანაკიონალო გვარდია—კარგი თვლით ვერ უყურებს ახლანდელს წესიერებას. მრთი კავალერიის აფიცერი მოიჭრა ცხენით იმ დროს, როდესაც მკვლელი მხეცურის აღტაცებით ათრედნენ ლეშსა, იმიშველა ხმალი და დაუწყო ჩეხა ამ ბოროტების მოქმედთა; ისინი გაიქცნენ. ამ დროს ჯარიც მოესწრო, გამოუდგნენ და ყველანი დაიჭრეს. ძალაქი ძალიან მწუხარა ამ შემთხვევითა და ელიან ბოროტ მოქმედთა სამაგალითო დასჯას.

მაშინვე გარემოადგილებიდან ჯარები დაიბარეს ტელეგრაფით, რომ შემდეგ არა ვითარი უწყსოება არა მომხდარიყო ქალაქში, რადგან ხალხი ისე საშინლათ გაბრზდა გუბერნატორის მოკვლისათვის, რომ ცდილობდა მკვლელი დაეხლნო. ბურგოსი ერთი უპირველესი ქალაქთაგანია ისპანიაში სარწმუნოების ბეჯითობით. ის ქალაქი ეკლესიებით და მონასტრებით გავსებულია. დანარჩენი ნაწილი ქალაქისა ღარიბ ხალხის ქოხებს უჭირავს, და არის ბუდე ზარმაცთა, ღარიბთა და უფუტრთა ხალხთა. სასულიერო წოდება ცხრასამდეა, მაშინ როდესაც სულ თოთხმეტი ათასი მცხოვრების მეტი არ არის თვითონ ქალაქში. ამდენი სასულიერო წოდების სარჩევათ მხრების შემოსავალიც ძლიეს ყოფნის ქალაქის შემოსავლითა. ახლა ამ საშინელს ბოროტ მოქმედებაზე გამოძიებაა დაანიშნული და უნდა ვიფიქროთ, რომ სამართალი ისევე აღადგენს ისპანიის და ბურგოსის სახელს გაჩირქიანებულს ბოროტის სულებისაგან.“

— მართლა ამორჩევა ყველგან მშვიდობიანათ წარმოებს ისპანიაში და სადაც თუ ცოტა რამ არეულობა მომხდარა, უსათუოთ ამისგამო, რომ სასულიერო წოდება გარეეია. ეს ამბავი ყველამ შენიშნა.

**პორტუგალია.**

ლისაბონი, იანვრის 13-ს. აი დედანი იმ ოფიციალური დოკუმენტისა, რომლითაც მამა ახლანდელის კოროლისა, კოროლი შერდინანდი აცხადებს, რომ ხელს ვიღებ ჩემთვის დანიშნული ჯამაგირიდანაო:

„რადგანაც ვიცი სახელმწიფოს საქირება, ამიტომ ხელს ვიღებ ჩემთვის დანიშნულს ჯამაგირზედ, რომელიც მეკუთვნის ჩემის ქორწინების კანტრაქტის ძალით. ეს კანტრაქტი არის დამტკიცებული და ხელმოწერილი პორტუგაში 1835-ში ნოემბრის 19-ში. ეს ფული უნდა შევიდეს სახელმწიფო ხაზინაში. შემომ ნება ყოფლობის საჩუქარსავით 15,000 რეისსა, რომელიც მე მერგება ყოველ თვე.

„Journal de commercio“ ამბობს; ყველამ იცის, რომ როცა კი სახალხო ხაზინა ყოფილა გაჭირებაში, მაშინ დ. შერდინანდი ყოველთვის მზათა ყოფილა შეწვევისათვის. ამითი ყოველთვის უშველია სახელმწიფოსათვის გაჭირებაში. ახლაც რომ ისე იქცევა—ეს არის წმინდა გულითა და ნებაყოფლობითა.

**შვეიცარია.**

სტოკგოლმი, იანვრის 18-სა. ამ რიცხვში შუ. ლარსონმა შეიტანა ქვემო

პალატაში პროექტი სამუდამო ჯარის მოშლაზე.

**შვეიცარიული შტაბანი.**

წმ-ილრაი, იანვრის 8-სა. რადგანაც გენერალი ბრანტი ამოიჩიეს პრეზიდენტათ, ამიტომ გუშინ მისალოცათ სახალხო კონვენტისაგან წავიდა იმასთან დებუტაცია ფერნარევი მცხოვრებთაგან, რომელსაც მაშინ გტონში ჰქონდა რამდენიმე სხდომა.

შუალი ლანგსტონის სიტყვაზედ, რომელიც იყო ამ დებუტაციის თავმჯდომელი, გენერალმა ბრანტმა უპასუხა შემდეგი სიტყვებითა.

„მადლობელი ვარ იმ კონვენტისაგან, რომლისაც თქვენა ხართ თავმჯდომელი; იმათი ნდობა ჩემზედ არ არის უქმი. მე მსურს, რომ ფერნარევეთ ჩენნი მხრის მცხოვრებთ ჰქონდეთ მფარველობა კანონებისა მებრ. ჩემი ცდილობა შესდგება იმაში, რომ ეს მფარველობა ჰქონდეთ ყოველთვის. მხოლოდ იმათაც უნდა დამტკიცონ თავიანთი მოქმედებით, თავიანთის წარმატებით, თავიანთი კეთილ-მდგომარეობით და მორჩილებით, რომ არიან ღირსნი იმ უფლებათა, რომელნიც მიუცია მმართველობასა; გარდა ამისა იმათ უნდა დამტკიცონ შემდეგში, რომ არიან ღირსნი იმისიცა, რასაცა თხოულობენ.“

**ტელეგრაფები**

(პეტერბურღში მიღებული)

პარიჟი, იანვრის 25-სა. მარკიზი მუტიე, რომელიც იყო უცხო ქვეყნების საქმების მინისტრათ, გარდაიცვალა.

— „მთიცილოური ჟურნალი“ გეაცნობებს, რომ 26-ში არის უკანასკნელი ვადა, რომ საბერძნეთმა შემოიტანოს პასუხი კონფერენციის განკარგულებაზედაო.

მენა, 30 იანვარს (11 თებერვალს). ზაზეთი Presse ტელეგრაფით გეაცნობებს, ათინიდან ცხრა თებერვალს, სადაც სწერია, რომ ახალმა სამინისტრომ კიდევ შეკრიბა პალატაში დებუტატები და დიპლომატიური ურთიერთობა მსმალეთთან ახლავე უნდა აღადგინონ; ამასთანვე ორივე სახელმწიფოს კარზე ახალი ელჩები უნდა დანიშნონ იმათ მაგიერათ, რომელნიც წინათ იყვნენ.

მუხარამსტი, 30 იანვარს. თუმცა მთავრობას ძალიან ფხიზლათ ეჭირა თვალყური მაგრამ მცირე მალახიაში მაინც დაარბევ მაცეინის პროკლამაცია, რომელიც აღმოსავლეთის ხალხს ურჩევს ადგომას.

მადრიდი, 30 იანვარს (11 თებერვალს). ღღს იდელსასწაულეს ისპანიის დებუტატების ანუ კორტესების შეკრება.

მარშალმა სერანამ აი ამ სიტყვით გახსნა შეკრებილობა: „მთავრობა მიჰყვება რევოლუციის, პროგრამასა და დასდვა თავი საფუძველი სახელმწიფო წყობისა. იმან წარმოსთქვა: იყოსო თავისუფალი აღსარება ყველგვარ სარწმუნოებაზე, თავისუფალი ბეჭდვითვისუფალი შერგოვება და შეყრილობა მაგრამ დებუტატებს ანუ კორტესებს მიენდობა, რომ კანონიერათ მოიხმარონ ეს მოპოებულნი სიმართლენი. მთავრობა ძველ პარტიებს დაჟინებით ებრძოდა და ამის გამო ზოგიერთჯერ მეტი ღირა არა ჰქონდა უნდ მოქცეული იყო სასტიკათ.“

შემდეგ სიტყვაშია მოხსენებული, რომ ძალიან საქირაო სახელმწიფო ფინანსში (შე მოსავალ გასაველში) ცელილება მოხდესო სახელმწიფოს პირი გაუყუთდეს და სახელმწიფო ელის გადახდა საიმედო იყოსო.

ბარემ; სახელმწიფოებთან მეგობრული და მოკიდებულიება არ შეეცელილაო. მუბის კუნძულზე ამდგარი ხალხი მალე დამშვიდდებოა და მონაობა დიდის სიფრთხილით მოისპობაო.

როდესაც დებუტატები შეიკრიბნენ, სხვან მასულებელი ძალიან ბევრნი მოვიდნენ. შევლანზე უფრო ხმამალა იყვირეს: „ღმერთმა აღდგომლოს უზენაესი უფლება ერისა.“

როდესაც დროებით მმართველობის წევრნი შემოვიდნენ, უცხო ქვეყნის წარმომადგენენი და კორტესები ადგნენ გარდა რეპუბლიკელებისა.

ზოგჯერ ისმოდა ღმერთთან აღდგომელი რესპუბლიკაო, მაგრამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებიათ ამ ყვირილზე.